# ერი

№ 8

წელიწადი პირველი

1913

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:

წლიურათ . . . . . . . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით. . . . . . . . . . 4 მანეთი

თვიურათ . . . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

შაბათი, 9 ნოემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „Е Р И“ Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.


ეროვნული ბიბლიოთეკა


დრაფი ბიბერი ტრიკო მაუდი.

ბაგებზე დამყარებული ამხანაგობა

ს. მ. პირაპოზოვი

და ბ. ბ. ოგანოვი

ბუმაზეი ფლანელი ვიგონი შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი

საზამთრო

საქონელი

კოტიკი პლიუში ველვეტი.

შაბათობით იყიდება

იაფათ

ნაჭრები.

ველვიური გნუია იდეალი ფლორა.



## 1913 წელი.

ქუთაისში 1 ნოემბრიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო, სალიტერატურო და ეკონომიური გაზეთი

## „ე რ ი“

**გაზეთის ფასი:**

ერთი წლით . . . 7 მანეთი,

ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.

ერთი თვით. . . . 4 აბაზი.

და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

წლიური ხელისმომწერთ გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, დანარჩენიც ნაწილ-ნაწილათ. სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობათ წელიწადში 5 მანეთად.

მისამართი: Кутаисъ—редак. газ. „Ери“. Ивановская, д. В. Чиладзе.

ფული და ყოველივე ანგარიში აუცილებლათ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, Кантора газ. „Ери“.

გაზ. „ერის“ კანტორა ღიაა დილის 9—2 და ნაშვადღევს 5—7 საათამდი. კვირა-უქმე დღეებში დილის 8—12.


„ერის“ რედაქცია აუწყებს საზოგადოებას, რომ მთავარანგელოზის ეკლესიაში დღეს გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის

## ანტონ ფურცელაძის

სულის მოსახსენებლათ.

სოფიო ივანეს ასული ლორთქიფანიძისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 10 ნოემბერს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი თავის შვილის

## ელენე იაგორის ასულის ლორთქიფანიძის

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება 10 საათზე, წირვას შემდეგ პანაშვიდი.


## ახლათ გამოშვებული პაპიროზები „დ ე ლ ი - ბ ა ბ“

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა **„ბინიატ-ოღლისა“** ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.

## მუდმივი საწოლებით

## თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დ ი ლ ი თ.**

| | | |
|---|---|---|
| დ. | ი. ჯაფარიძე—ყელის, ცხვირის, ყურისა და შინაგ. | 8—10 |
| გ. | ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის | 10—12 |
| ა. | ა. რელიგიონი—ლოსტაქარი, ქალთა, საბებიო | 11—12 |
| მ. | დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| გ. | ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | $12^1/_2$ 2 |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | | |
|---|---|---|
| ბ. | ლ. ქორქაშვილი—თვალის | $4^1/_2$—$5^1/_2$ |
| გ. | ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | $5^1/_2$—$6^1/_2$ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

**სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი.** წ.


## ქუთაისის საადგილ-მამულო სათავ.-აზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 4—5 ივნისის 1913 წ. მორიგ კრებაზე ბ.ბ. რწმუნებულთა დადგენილების თანახმათ, 24 ნოემბერს 1913 წ. დილის 10 საათზე, ბანკის სადგომში ქუთაისში

## დანიშნულია რწმუნებულთა არაჩვეულებრივი კრება,

რომელიც ბანკის წესდების § 89 პირველი მუხლის ძალით, კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავათ იმისა, რამდენი რწმუნებულიც არ უნდა დაესწროს.

კრების განსახილველ საგანს შეადგენს შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება კომისიისა, რომელიც არჩეული იყო რწმუნებულთა მიერ ამ წლის 6 ივნისის კრებაზე, მიხეილის სათავ.-აზნაურო ბანკის მოსამსახურეთა შტატის შემუშავების შესახებ.

2. მოხსენება ზედამხედველი კომიტეტისა და ბანკის გამგეობის შეერთებული სხდომისა მოსამსახურეთა დაჯილდოვების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ იგინი პენსიის დამსახურებამდი დაანებებენ სამსახურს თავს.

3. ბანკის გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს შეისყიდოს ბირჟაზე გასაუქმებელი გირავნობის ფურცლები ტირაჟში მათი დაქრობით.

## ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. დ. გ. ნიჟარაძე

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ 10 ნოემბერს, დილის 10 საათზე დანიშნულია საგანგებო კრება გუბერნიის თავადაზნაურთა ქალაქ თფილისში მოსამზადებელი პანსიონის გახსნის საჭიროებისთვის ფულის გადადების საკითხის განსახილველათ.


## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსებ.ის, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებიდ და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზ ის უკანა განყოფილებაში, **სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები:** კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკ ბი, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კ.ცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა, ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს **გლებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.**

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი ნოემბრიდან დადიანის ქუჩაზე საკუთარ სახლში იხსნება

## ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია

პ რ ო ვ ი ზ ო რ ი ს

## ქ. ს. ჩინჩალაძისა.

ვღებულობ ანალიზებს! **შარდისას, სისხლისას, ნახველისას, თესლისას, კუჭის სითხისას, ქალის რძისასა და სხვა.**

ბაკტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიის ბაცილებისა.

ლაბორატორიიდან ეძლევათ ბატ. აქიმებს ტამპონები ყელში მასალის ამოსაღებათ.

## დაბა ზესტაფონი

**აქიმი ლ. დ. ნაზაროვი**

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

**აქიმი ი. ჩარექოვი** იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი.

## მ. გალანჩივაძისამ

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე ვუცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

**აქიმი გ. ა. მეიფარიანი.** ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევს 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი. თ.

**აქიმმა ბ. ა. მირაქოვმა** დროებით რუსეთში წასვლის გამო შეწყვიტა ავათმყოფების მიღება.

**აქიმი დ. ჯაფარიძე** იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**აქიმი ძ. თ. ტყეშელაშვილი.** ღებულობს ავათმყოფებს **(შინაგანი, ვენერიული, კანის)** ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.


## ანტონ ფურცელაძის

**დაკრძალვის დღეს.**

საკვირველია ჩვენი ბედი! „ძველნი მოამაგენი, ქვეყნის ჭირისუფალნი ხელიდან გვეცლებიან, ხოლო მათ ნაცვლათ ახლებს ჯერ ვერსად ვხედავთ. ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ ქვეყანა, ერი მაინც წინ მიდის, მას ახალი ძალები ემატება, რომ ახალი ძველს უსწრობს, რომ შვილი მამას სჯობნის. ეს არის საზოგადო კანონი ერის განვითარებისა ნორმალურ პირობებში და ამ კანონს ჩვენც ვემორჩილებით. მაგრამ ამასთანავე ისიც ვიცით, რომ ისტორია მიხვეულ-მოხვეული გზით მსვლელობს, რომ ერის ცხოვრებაში მუდმივს შეუჩერებელ პროგრესს ხშირათ ადგილი არ აქვს, რომ ხშირათ ერის წარმატება ერთ წერტილზე ყინდება ან, კიდევ უარესი, უკან იხევს. და ეს ხდება ნამეტურ მაშინ, თუ ქვეყნის განვითარება არაჩვეულებრივ პირობებში მოქცეულა.

და აი თითქო ამ მრუდე ხაზზე დამდგარა ქართველი ერის ზედა-განვითარება. უკან თუ არ ვიხევით, წინ მაინც ისეთი კუს ნაბიჯით მივდივართ, რომ შიში გვიპყრობს—ვაი, თუ ჩვენზე უფრო კულტურით მძლავრმა ან მთლათ გვშთანთქას, ან მხოლოდ საბრალო, უარა-

რაო და უფერული სიცოცხლე და შეგვარჩინოს.

ჩვენს ცხოვრებას რომ ვაკვირდებით, დიახ, ვამჩნობთ, რომ ძველის ნაცვლათ ისეთი ახალი არსად არის, რომელსაც შეეძლოს რჩეულს, თავდადებულ მამათა ნამოღვაწევ-ნაამაგარს ღირსეულათ გაუძღვეს და სრულყოს, თუ თითო-ოროლა ბრწყინვალე გამონაკლისს მხედველობაში არ მივიღებთ.

აი, ისიც, ვისაც დღეს უკანასკნელათ ვეთხოვებით, განა ერთი იმ რჩეული, თავდადებული მოღვაწეთაგანი არ იყო, რომელთაც მშრომელი ერის ჭირი და ლხენა პირად ჭირათა და ლხენათ აჩნდათ, რომელთაც თუ ბეჭდვითი სიტყვითა თუ მოქმედებით ერის მდარე, გაუკუღმართებულ ცხოვრებაში ახალი სიტყვა, ახალი აზრი, შეიტანეს? მერე ვინღა დაგვრჩა საზოგადოების ამ იშვიათ ჭირისუფალთა მცირე და მჭიდრო გუნდიდან? ან ვინ გასწევს მათ მაგიერობას? ან ვინ იგრძნობს მათებურ ერის სატკივარს, ვინ მოსწმენდს თვალთაგან ცხარე ცრემლს იმ ერს, რომელიც აგერ რამდენი ხანია მოდის და მოსტირის თავის ბედკრულ ყოფას? ვინ ჩაუსახავს ხალხს იმედს გამარჯვებისას, კვლავ აღდგენისას, ხალხს გულგატეხილს, სასომიხდილს, უიმედოს? ვინ ეტყვის ბეჩავს მხნე, მრგვინავ სიტყვას, ვინ შეუკრთობს ძილს, ვინ უმღერს ისე ტკბილათ, როგორც სამოციანთა მჭიდრო ოჯახი?

ახლათ განსვენებული ანტონ ფურცელაძე ამ ოჯახის ერთი თვალსაჩინო ძალა, ერთი დაუღალავი, მხნე, ერთგული მუშაკი იყო თუ კალმითა და თუ პრაქტიკული მოქმედებითა. ღრმა სიბერეშიც კი მას შერჩა ის ახალგაზდური სულის სიახლე და ალმაფრენა, რომელიც ასე დამახასიათებელია ჩვენი ძველი თაობისა. სიკვდილამდი თავს დასტრიალობდა ჩვენს მწერლობასა და საზოგადო საქმეებს. არ დაგვავიწყდება, ჯერ კიდევ შარშან ამ დროს რა ალტაცებით გვესაუბრებოდა მთელს დიდ კრებას ქუთაისში, რომელიც მანვე შეკრიბა იმ მიზნით, რომ რაიმე ზომები მიეღო უმიწაწყლო ბოგანო გლეხთა და საზოგადოთ მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ! რას არ გვირჩევდა, რა პლანებს არ აწყობდა ბედშავთა აუტანელი ყოფის თუნდ ოდნავ შესამსუბუქებლათ!

საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ განსვენებული ანტონის ნაწერები რომ გადაიკითხოთ, იქ ცხადათა და ხაზგასმით ერთ ტენდენციას შეამჩნევთ— ინტერესს სოციალური საკითხისადმი, განსაკუთრებულ ყურადღებას მშრომელთადმი, დემოკრატიულ-სოციალისტური ანალიზის ცდას ამ საკითხისას. მართალია, მის კვლევა-ძიებას ამ სფეროში თავისებური ელფერი ქონდა, მაგრამ აღსანიშნავი და საყურადღებო ის არის, რომ აქ ანტონ ფურცელაძე თითქმის მარტოდ მარტო იყო მისი დროის ლიბერალ მწერალ-მოღვაწეთა წრეში.

აი, რა მხარე ამკობს უმეტესათ განსვენებულის ნაყოფიერს საზოგადოებრივ-სამრეწველო მოღვაწეობას! ხალხს, რომელიც ბედისაგან გალაღებული არ არის, არას დროს არ დაავიწყდება ის მოამაგე, რომლის ფიქრსა, აზრსა, მზრუნველობას საგნათ მუდამ ამ ხალხის სვებედი ქონდა აღებული.

ანტონიც ასეთი იყო. ბევრი მწარე, მკაცრი გაუგონიათ მის ბაგეთაგან წარჩინებულთა, ძლიერთა და მაღალთა ამა ყვეყნისათა „უმცროს“ ძმათა დასაცავათ, მათ გადალახულ უფლებათა გამოსარჩლების მიზნით.

არა მცირედი ნიჭისა და დიდი ენერგიის პატრონმა, მან ღრმა კვალი დასტოვა ჩვენი ეროვნული აღორძინებისა და კულტურული ზრდის საქმეში. მრავალფეროვანი იყო მისი მწერლობითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა: პუბლიცისტიკა, პოეზია, დრამა, ისტორია, ბანკი, თეატრი, წერა-კითხვის საზოგადოება და სხ.—ყველგან, ყოველ დარგში ანტონს თავისი წვლილი შექონდა, ყველგან სულითა და გულით მოსურნე იყო საზოგადო საქმის გამარჯვება-წარმატებისა. და ასეთმა ხალხის მოკეთემ აკი ხალხის სიყვარულიც მოიხვეჭა. დღეს მთელი ქართველ საზოგადოებაში დიდი გლოვის ზარია, ყოველი შეგნებული და გულშემატკივარი ქართველი სტირის მას, როგორც ერთგულ მოამაგეს ერისას, როგორც საყვარელი სამშობლოს დარაჯს.

ნეტარება შენ, დაუვიწყარო ანტონ, რომ ქვეყნის წინაშე მოვალეობა აგრე პირნათლად მოიხადე!

**გრ. გველესიანი.**

## კიდევ ერთი ,,გამოსვლა“.

სჯულის კანონში სწერია: ,,მიიქცა ძაღლი წუმპესა თვისსაო“, და ეს დახასიათება გამახსენდა დასელთა ,,ფიქრის“ პირველი ნომერი რომ გადავათვალიერე.

დღეს უკვე მთელმა საქართველომ იცის, რომ ზოგიერთი დასელის გრძნობა და ფიქრი წამებულის ილია ჭავჭავაძის დიადი პიროვნებისა და მისი ნაამაგარის დასაწიხლავათა და საქირდავათ იყო და არის მიმართული. ეს წიხლვა და ქირდვა დასელთა ბელადებისაგან თავიდანვე საჭირო საქმეთ იყო გამოცხადებული და მათი საპირფარეშოს ერთგული მსახურნიც მონურათ აკეთებდენ ამ საქმეს.

თავიდანვე ცხადის უცხადესი იყო, რომ დასელები ჩვენში ფეხს ვერ მოიდგამდენ, თუ არ ილიას ნაღვაწის ,,დახელოვნებული ჯაშუშის“ ნაწარმოებათ გამოცხადებით და მისი პიროვნების შეურაცხყოფით!

ამ საქმეს ისინი ოლონდაც რომ ლოღიკურათ აწარმოებდენ და დასკვნაც ვითომ ამ ლოღიკის შესაფერი მიიღეს. მაგრამ მოსტყუვდენ და აქ კოჭი გადაუბრუნდათ! —ბურანში მყოფი ხალხი ერთბაშათ გამოარკვია თავზარ-დამცემმა ამბავმა და ბევრმა იცნო მტერი და მოყვარე.

და სწორეთ ეს უბედურება დაედვა საფუძვლათ დიდი ილიას მისწრაფების მკვდრეთით აღდგომას.

ეს გარემოება კი უძლური სიბრაზითავსებს ჩვენს ისტორიულ ჰეროსტრატებს და ეს საცოდავები ყველგან და ყოველთვის ცთილობენ—შემთხვევა არ გაუშვან, რომ ერთი თავისებური ტლინკი არ გაიქნიონ!

საბრალოები!—ვერ გრძნობენ კი, რომ ეს მოქნეული მიზანს ველარ აწევს, და თუ ჩვენ აღვნიშნეთ, მხოლოდ და მარტოოდენ ჰეროსტრატების დასახასიათებლათ.

ვინ იყო ჩვენში პირველი დემოკრატი? ილია ჭავჭავაძე, თუ დანიელ ჭონქაძე?

თუ უკვდავ ფ. მახარაძეს ვკითხავთ, დანიელ ჭონქაძემ თვით რუსთველიც— ,,საარშიყო შაირების მწერალიც“ კი დაჩრდილა! (იხ, მისი „დან. ჭონქაძე და მისი დრო“)! ჰო და აგრე: „საკითხი გამორკვეულია და რაღას დაობენ?

# დ ღ ი უ რ ი.

რუსეთმა საფრანგეთში რკინისგზების საჭიროებისათვის 500 მილიონი მანეთი ისესხა.

— ბულგარეთის დიპლომატები ამბობენ:—ფერდინანდი ტახტიდან გადადგება და თავის მამულში უნგრეთში იცხოვრებსო.

— რუსოფილთა პარტიის გაზეთებმა ფერდინანდის წინააღმდეგ კამპანია შექმნეს. უმთავრესი დამნაშავე ხალხის უბედურებისა ფერდინანდიაო, სწერენ.

— სტამბოლში [illegible] პარტიამ გადასწყვიტა ,,ერთობისა და პროგრესის“ [illegible] მოკიდებულება გასწყვიტოს.

— კოკოვცოვმა სომეხთა საქმის შესახებ გერმანიის კანცლერთან ბეტმან-გოლვეგთან ისაუბრა.

— რუმინიაში სუვოროვის ძეგლის კურთხევა მოხდა.

— პეტერბურგში ერთი დღის განმავლობაში 83,539 მუშა გაიფიცა.

ვისაც ბ. გედევანიშვილის გამოცემა უნახავს, ყველა ერთხმათ აღიარებს,— იშვიათი გამოცემაა და ქართულ ენაზე უკეთესი არ გვინახავსო („ოემი“, „სახ. გაზ.“) დასელების „ფიქრი“-თ კი ეს „ყოვლად უნიჭო გამოცემაა“.

და „გაზეთი“ სწვდა. ბ. გ. ყიფშიძესაც, ალბათ იმიტომ, რომ მან ბიოგრაფიის დაწერის დროს არ ისარგებლა „მოგზაურის“ „ფაქტებით“; ბ. ფ. გოგიჩაიშვილსაც, რომელმაც მახარაძის წინააღმდეგ ბრალდება შესთითხნა!

ნეტავ, რა აწუხებს დასელებს?—ეს ბრალდება მათ აკი პროტესტებით ,,დაარღვიეს“?!.

არ დაინდეს თვით ი. გომართელიც, ერთ დროს მათი მოამაგე და მოჭირნახულე!

მაგრამ ეს ჩვენ აქ არ გვაინტერესებს... აქ თვით ფაქტია აღსანიშნავი, ფაქტი გაბოროტებული სიძულვილისა პიროვნებისადმი!..

ეს ვაჟბატონები არაფერს არ ინდობენ, რასაც კი ილია ჭავჭავაძის სახელი ქვია და ეს ამ უკანასკნელი გამოსვლითაც ერთხელ კიდევ დაამტკიცეს!

მათ როგორ მოითმინონ ილიას ნაწერების ასეთი გამოცემა, იმ ნაწერებისა, რომელსაც მათ მახათას გორაზე კოცონი აუგეს?!

ფანატიკოსობა ასე დააბრმავებს ადამიანს და ხშირათ მიაქცევს მას „წუმპესა თვისსა“.

კმარა!.. ისედაც კარგათ გაცნობთ, რომ თქვენი სულის უმზგავსო ხატება კიდევ ერთჯერ არ დაგვანახოთ!..

**ვინ.**

## აშურიანი-კეზელი.

ვერ მოვასწარით აშურიანის გაყიდვის დავიწყება და უკვე ახალი უბედურება მოგვევლინა. ბორჩალოს მაზრაში, სადაც ქართველობა ისედაც მცირე რიცხოვანია, ახლახან დავკარგეთ ვრცელი ტერიტორია—წარსულთა გმირთა სისხლით მორწყული, ხოლო თანამედროვე ქართველის სამაგალითოდ დაყენებული მეურნეობა. აი რას მოგვითხრობს ჟურნალი „კლდე“ (24 ღვინობისთვე, № 34).

„ამ თვეში ბორჩალოში გაიყიდა ვეებერთელა მშვენიერი მამული, სივრცით 1100 დესეტინა, ბ. ნიკოლოზ კეზელისა, თავის საყველე ქარხნით, 700 კაი ჯიშის ძროხით, სამეურნეო ინვენტარითა და სხვა. მამულსა და ყველის ქარხანას კეზელისთვის შემოქონდა წელიწადში 20—25 ათასი მანეთი და ბ. კეზელის ფირმა ცნობილი იყო მთელ ამიერკავკასიაში, როგორც პირველი და საუკეთესო ყველის ქარხანა. მდიდარი მამულისა და მთელი ქარხნის მოწყობილობის ღირებულობა უდრიდა არა ნაკლებ ნახევარ მილიონს და გაყიდა... 200000 მანეთად! ძვირფასი საქმე შეიძინა გერმანელმა პეტრე ამეტერმა. მერე რა ხელსაყრელ პირობებში?! როგორც გავიგეთ ნამდვილი წყაროებიდან თანახმათ ამ პირობისა პ. ამეტერმა ეს მამული ბანკში უნდა გადააგიროს, მიიღოს 100.000 მანეთი და 1914 წლის იანვარს გადასცეს ეს ფული ბ. კეზელს. დანარჩენი 100.000 მანეთი პ. ამეტერმა უნდა გადაიხადოს 8 წლის განმავლობაში, ე. ი. ამ ფულს პ. ამეტერი გადაიხდის მამულის შემოსავლიდან და კიდეც დარჩება ფული საქმის წარმოებისთვის.

# ეროვნული საკითხი

### ავსტრო-უნგრეთი.

### ბ. გალიცია.

### პოლონელები.

1900 წლის საყოველთაო აღწერით ავსტრიაში ითვლებოდა სულ 4,259,152 პოლონელი, მათ შორის გალიციაში 3,988,702, სილეზიაში 220,472, დანარჩენები ბუკოვინასა და მორავიაში. მაშასადამე, გალიციას გარეთ ცხოვრობს 270,450 პოლონელი.

აღმოსავლეთი გალიცია შეადგენს მთელი გალიციის 70,5%-ს, სადაც ცხოვრობს 4,814,171 სული, მათ შორის პოლონელია 33,7%, ე. ი. 1,618,180, და უკრაინელი 2,997,200, ე. ი. 66,3%. აღმოსავლეთი გალიცია 50 ოლქისა ან „პოვეტისაგან“. მათ შორის აღმოსავლეთი გალიციის სატახტო ქალაქში, ლვოვში, ლვოვისა, ჟოლკოვისა და იაროსლავის „პოვეტებში“ პოლონელი მეტია, ვიდრე უკრაინელი. დანარჩენ პოვეტებში კი პოლონელები უმცირესობას წარმოადგენენ, თუმცა ზოგან მათი შედგენილობა აღის 40%-მდი და კიდევ უფრო ზევით და მხოლოდ 8 „პოვეტში“ არ აღის 15%-მდი. უფრო ძლიერია პოლონური ელემენტი ქალაქებში („პლოხოცკი“). პროფ. გრუშევსკის მიერ მოყვანილი ცნობებით იგივე აღწერა გვეუბნება, რომ გალიციის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობს 3,074,449 უკრაინელი, დასავლეთ ნაწილში კი მხოლოდ 70 ათასი. ამ ნაწილის 50 „პოვეტში“ 35-ში უკრაინელთა შედგენილობა აღემატება 60%-ს 18-ში 70%-ს და შვიდ „პოვეტში“ 80%-ს. ჩრდილო დასავლეთის უკრაინელთა შორის ბევრია პოლონელი.

მაშასადამე, ორივე წყარო გვეუბნება, რომ აღმოსავლეთ გალიციაში, თუმცა სჭარბობს უკრაინელთა რიცხვი, მაგრამ ძლიერია პოლონური ელემენტიც.

ავსტრიის აბსოლიუტიზმმა ძლიერ შეავიწროვა გალიცია. მეთვრამეტე საუკუნის გასულს იმპერატორმა იოსებ მეორემ შეიტანა შკოლებში და ადმინისტრაციაში გერმანული ენა და უბოძა გალიცია შესაჭმელათ გერმანელ ბიუროკრატიას.

1830-31 წლ. აჯანყებას შემდეგ აქ 10,000 კაცი გადმოიხვეწა რუსეთის პოლონეთიდან ისინი და პარიზში არსებული “დემოკრატიული საზოგადოების„ აგენტები აღვიძებდენ მიძინებულ აზრს და სთესდენ საზოგადოებაში პოლონეთის აღდგენის სურვილს. მათ ხელს უწყობდა კრაკოვის პატარა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

1846 წ. თებერვალში მზადდებოდა გალიციის აჯანყება. რევოლუციონერებმა გამოაცხადეს გლეხთა თავისუფლება მიწითურთ. მაგრამ მეტერნიხმა მიუსია გლეხები პოლონელ თავადებსა და აზნაურებს. ამ ქლეტამ ძლიერ შეუშალა ხელი რევოლუციის გავრცელებას. აჯანყება მოხდა მარტო კრაკოვში, რომელსაც დაეხმარენ მეზობელი გლეხები და სამთამადნო მუშები. აჯანყება მალე ჩააქრეს და კრაკოვის რესპუბლიკა შეუერთეს ავსტრიას.

1846 წლის აჯანყება თითქო წინასწარი ნიშანი იყო იმ რევოლუციონური ქარიშხლისა, რომელმაც ორ წელს შემდეგ ბოლო მოუღო მეტერნიხის სისტემას. მეტერნიხის დაცემამ აღფრთოვანა პოლონელნი: ეგონათ განახლებული ავსტრია შეგვაძლებიებს კვლავ აღვადგინოთ პოლონეთის სრული ავტონომიაო. შეადგინეს ადრესი, რომელშიც იყო აღნიშნული ეს სურვილი და კიდევ სხვადასხვა გვარი ეროვნული მოთხოვნილება, სხვათა შორის, ბატონყმობის გაუქმების აუცილებლობაც, და წარუდგინეს გალიციის სახელით იმპერატორს ფერდინანდს.

საერთო აღფრთოვანებამ შეაერთა დროებით ყველა კლასი და ერი: არისტოკრატია და ბურჟუაზია, პოლონელები და ებრაელები და, ასე გაშინჯეთ, რუსინთა ერთი ნაწილიც კი.

მაგრამ თანდათან გაიარა ადვილი გამარჯვებისაგან გამოწვეულმა თავბრუმ: შეშინებულმა მთავრობამ კვლავ მოიპოვა სულიერი წონასწორობა და მოინდომა უკანვე დაებრუნებია ის, რაც ხელიდან გამოსტაცეს. ეს საერთო მოვლენა იყო.

და ავსტრიის მთავრობამ მიმართა ნაცად საშვალებას, რომელიც გამოხატება ამ სამი ლათინური სიტყვით: “დივიდე ეტ იმპერა„ ე. ი. გაყავი და იბატონე„.

რომ პოლნელ თავადზნაურობას არ დაესწრო გლეხთა გათავისუფლება, ავსტრიის მთავრობამ გალიციაში ოთხი თვით უფრო ადრე გააუქმა ბატონყმობა, ვიდრე სხვაგან.

მთავრობამ შეადგინა აგრეთვე პოლონელთა მოძულე რუსინთაგან პარტია, რომელიც ელოდა შველასა და წყალობას იმპერატორისაგან და მზათ იყო დახმარებოდა რეაქციონურ ბიუროკრატიას რევოლუციონურ პოლონელებთან ბრძოლაში.

მთავრობის ამგვარი პროვოკაციური ქადაგების გამო გალიციის 108 დეპუტატებს შორის 38 დეპუტატი, არჩეული უკრაინელი და პოლონელი გლეხების მიერ ივნისის გასულს 1848 წ., რეაქციას ემხრობოდა ვენის პარლამენტში.

1848 წლის რევოლუციონურ მოძრაობაში დიდი მონაწილეობა მიიღო გალიციამ და, ამიტომ, სასტიკათ იქნა დასჯილი რეაქციის დროს: სამხედრო სასამართლოები მუშაობდენ დაუზარებლათ, პრესა აილაგმა, საუკეთესო მოქალაქეები, ასე გაშინჯეთ, ზომიერებიც კი, დააპატიმრეს. გაგერმანელების ბიუროკრატიული სისტემა კვლავ გამეფდა.

აბსოლიუტისტურმა მართვაგამგეობამ კვლავ დაამარცხა ავსტრია (ფრანგ-იტალიელებთან ომში1859 წ.) დადგა ლიბერალიზმის ხანა. და კვლავ დაიბადა ეროვნული მოძრაობა.

1861 წელს მინისტრმა შმერლინგმა დააკმაყოფილა პოლონელთა მოთხოვნილების ნაწილი და მიანიჭა კარაკოვის უნივერსიტეტს დედაენაზე სწავლების უფლება. ბელკრედის სამინისტრომ, რომელმაც დაიჭირა შმერლინგის სამინისტროს ადგილი (27 ივლისს 1865 წ.). დაადასტურა ზოგიერთი დადგენილება გალიციის სეიმისა, სხვათაშორის გამოცემა კანონებისა პოლონურ ენაზე, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანიზაცია და სხ., მაგრამ იმავე წლის ორ ოქტომბერს მან გააუქმა თებერვლის კონსტიტუცია. და 12 თვის აბსოლიუტიზმმა კვლავ დაამარცხა ავსტრია კენიგრეცთან და სადოვაიასთან (1866 წ.).

მთავრობა იძულებული შეიქნა კვლავ აღედგინა თებერვლის კონსტიტუცია (1867 წ.) და 1867 წელსვე დააარსა მთელი რიგი კათედრათა პოლონურ ენაზე ლვოვის უნივერსიტეტში. შემდეგ დაწესდა გალიციის უმაღლესი საშკოლო საბჭო და შემოიღეს დედაენაზე სწავლება საშვალო სასწავლებლებში.

მთავრობამ იმიტომ დასთმო ხსენებული უფლებანი, რომ გალიციის რადიკალებს უნდოდათ სრული განცალკევება გალიციისა და ქადაგებდენ ბოიკოტს ცენტრალური საკანონმდებლო დაწესებულების წინააღმდეგ.

ბოლოს, როდესაც გალიციის სეიმმა მოითხოვა ფართო ავტონომია, მთავრობამ გამოსცა რესკრიპტი, რომლის ძალითაც პოლონური ენა იქმნა შემოღებული ადმინისტრაციასა და სასამართლოში. და ამ დათმობის მიზეზი ის იყო, რომ გალიციაში შერიგების მომხრე პარტიას შერჩენოდა გავლენა და უკიდურეს, შეურიგებელ რადიკალებს არ აეყოლებიათ ხალხი.

ცოტა ხანს შემდეგ ა. პოტოცკის მინისტრობის დროს კრაკოვის უნივერსიტეტი შეიქნა პოლონურ უმაღლეს სასწავლებლათ. ახალ მინისტრს გოგენვარტს უნდოდა დამყარებოდა, სხვათაშორის, პოლონელ დეპუტატებსა, და ცენტრალურ სამინისტროში პირველათ შესდგა ფეხი გალიციის წარმომადგენელმა.

სამოცდამეათე წლებში გამარჯვება საბოლოოთ დარჩა შერიგების პარტიას, და მას შემდეგ ავტონომიურ უფლებათა გაფართოებასაც მოეღო ბოლო.

ის, რასაც უწოდებენ გალიციის ავტონომიას, არის ნამდვილათ მხოლოდ საოლქო თვითმართველობა, რომელშიც დიდი უფლება უჭირავს ცენტრალურ მთავრობას.

იმპერატორის მიერ დანიშნული მოადგილე თავჯდომარეობს ამ თვითმართველობის ყველა უმაღლეს დაწესებულებაში: საოლქო საშკოლო საბჭოში, სასანიტარო საბჭოში და საოლქო საფინანსო მართველობაში. გალიციის 78 „პოვეტის“ უფროსები, ანუ სტაროსტები, დამოკიდებული არიან მოადგილისაგან. მათ ხელშია საქალაქო და სასოფლო პოლიცია.

გალიციის საოლქო ავტონომიის უმაღლესი ორგანო არის სეიმი, რომლის წევრებიც ირჩევენ თავის შორის საოლქო მართებლობას, რომელიც განაგებს განათლების საქმეს, საქველმოქმედო დაწესებულებათ, საზოგადო მუშაობათა საქმეს, საოლქო და სათემო ფინანსებს.

სეიმის თავჯდომარეთ არის მარშალი, დანიშნული იმპერატორის მიერ დეპუტატთა შორის. სეიმს არ აქვს საკუთარი აღმასრულებელი ორგანოები. მოადგილე პასუხს არ აგებს სეიმის წინაშე. სეიმის უფლება ძლიერ შეზღუდულია, ვრცელდება მარტო მეორე ხარისხოვანს ადგილობრივ საქმეებზე. მას შეუძლია დააწესოს მხოლოდ დამატებითი გადასახადები. მხოლოდ ცენტრალურ მთავრობას აქვს უფლება დაადოს ხალხს უმთავრესი გადასახადები. და, თუმცა სახალხო შკოლები ექვემდებარება სეიმსა და საოლქო საშკოლო საბჭოს, საშვალო და უმაღლესი სასწავლებლები დამოკიდებულია იმპერატორის მთავრობისაგან, რომელიც განაგებს მათ ორგანიზაციას, ადგენს პროგრამას და ინახავს მათ საიმპერიო ხაზინის საშვალებით.

ერთი სიტყვით ბ. კეზელმა გერმანელ პ. ამეტერს ვეებერთელა მამული და მდიდარი საქმე ჩაუქა. ამბობენ, როცა კეზელს შეეკითხენ: „კაცო! რას შვრები, რათ ყიდი შენს ნაამაგარ ძვირფას საქმესო"? კეზელმა უპასუხა: „გავძეხი, დავიღალე და საქმის ხელმძღვანელობა მომწყინდაო".

ბ. კეზელს ორი ნათესავი ყავს, თუმცა უკანასკნელნი ეხვეწებოდენ ამ პირობებით ჩვენ მოგვეციო, ბ. კეზელმა უცხოელი პ. ამეტერი ირჩია. აი, ეს საუცხოო მაგალითი დღევანდელის ქართველის მემამულის ფსიქოლოგიისა! მშიერია—მამულს სტოვებს, მდიდარია მამულს ყიდის, თუ ჩვენ აქამდი ბ. კეზელის საქმით ვკვეხულობდით და თავი მოგვქონდა, რომ ქართველებსაც შეუძლიათ სხვილი სამეურნეო წარმოების მოწყობა-გაძღოლა, ახლა ეს იმედიც გაგვიცრუვდა. ამ მაგალითით ბ. კეზელმა სამწუხარო კვალი დასტოვა ქართულს ეკონომიურ ცხოვრებაში".

ამონაწერი სტრიქონები ამოვიკითხე „კლდეში" და პირველ ხანებში თითქოს თავბრუ დამესხა, გონს ვერ მოვდიოდი უზომო აღელვებით.

შემდეგ აღელვების ადგილი შურისძიების სურვილმა დაიკავა, და დავემუქრე ერთ მეგობარს, თუ ჩვენ მეტ საქმიანობას ვერ გამოვიჩენთ, ბარემ სიტყვითაც მივემხროთ ჩვენი ერის უარმყოფელთა დასს და ხმა შეწყობილი ვიგალობოთ „აღსრულა საქართველო"-თქო!

„ჩვენი ივერი, მშვენიერი, არს სისხლის კალო, გმირთა აკლდამი, გულსაკლავი და სავალალო!—სთქვა პოეტმა იმ დროს, როდესაც „გმირთა აკლდამები" ჯერ კიდევ არ გამოსცლოდა ქართველობას ხელიდან.

და რამდენათ უფრო გულსაკლავია დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა, როდესაც ის აკლდამებიც კი ხელიდან გვეცლება:

გამოგვაცალეს ხელიდან აშურიანი და სამაგიეროთ უდიდეს დუღაბის ქარხანას გვპირდებიან. ამას შემდეგ ჩვენს დასელებს საშვალება ეძლევათ მილიონერ მანთაშევთან ერთად ჩვენი პოზიცია აშურიანის საკითხში კულტურის შემაფერხებლათ ჩასთვალონ. ქართველ მემამულეს რომ აშურიანი არ გაეყიდა, დუღაბის ქარხანა არ გაიხსნებოდა და რამდენიმე ასეულ მუშას სამუშაო დაეკარგებოდათო. მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი ოინია ჩვენი მტერ-მოყვრების. ქართველობა კი, სანამ თავის „აღსრულა"-ს თვით არ დაადასტურებს, ვერ შეურიგდება ასეთ მსჯელობას—მოსაზრებას, ყოვლად შეუძლებელია კულტურის განვითარებისთვის საჭირო იყოს ათასწლოვანი კულტურის მქონე ერის მოსპობა-გადაგვარება.

და თუ მანთაშევები შემოსევის პოლიტიკას არ აწარმოებენ მრეწველობის გაჩაღებისთვის მადლობის მეტს არავინ ეტყვის.

მხოლოდ ამისთვის რა საჭირაა ტერიტორიის საკუთრებათ ხელში ჩაგდება: აიღონ იჯარით თუნდ ასი წლით და გააჩაღონ როგორიც უნდათ ისეთი წარმოება, მაგრამ სამუდამოთ კი ნუ შეგვეცილებიან.

მაგრამ დავანებოთ თავი მანთაშევებსა და კამპ. საქართველოს მრავალი იერიში მოუგერებია და აწიც შესძლებს უცხოთა შემოსევისგან თავის დაცვას.

წარსულშიც და აწმყოშიც ქართველთ სიმაგრე შიგნიდან გატეხილა. შინაური ღალატია, როდესაც ამილახვარ-კეზელები ერის საუნჯეს უცხოთ ყიდიან, შინაური ღალატია აგრეთვე, როდესაც თქვენი უმორჩილესი მონა ამ სტრიქონების დამწერი და მზგავსნი მისნი მხოლოდ წერილის გამოცხობით თავის მოვალეობას შესრულებულათ ჩასთვლიან.

ნუ ჩავიდენთ ასეთ ბოროტმოქმედებას და ვიყოფინოთ სულის მომწამვლელი ამბების გულხელდაკრეფილი ყურება.

ჩემის მხრით მზათა ვარ კვირაში ერთი დღე ან მეექვსედი ჩემი შრომის საფასურისა საერო საქმისათვის გადავსდვა. მოვუწოდებ თანამოაზრეთ ანუ მხოლოდ იმ პირთ მაინც, ვინც ტერიტორიის საკითხს მგძნობარე წერილი უძღვნა, მომბაძონ მე და შევადგინოთ საშვამავლო ამხანაგობა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ამეტერებზე უარესათ არ გამოიყენებს სადგილმამულო ბანკების კრედიტებს. დიდი ხანია დროა, სიტყვას საქმემ დაუთმოს ადგილი!

ნუ შევაძრწუნებთ საფლავში დიდებულ მამულიშვილს დიმიტრი ყიფიანს, მისმა ნათელმა გონებამ თავიდანე განსჭვრიტა ჩვენი მამულდედულის მოსალოდნელი საფრთხე, მაგრამ მისი დიადი სული ვერაოდეს წირმოიდგენდა კეზელისებური შემთხვევის შესაძლებლობას; და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ არ გვესმის ქუთაისის ინტელიგენციის ასე დაინტერესება ბანკის ბედ-იღბლით, თუ კი მას იმის უნარი არ შესწევს, რომ ხელი შეუწყოს თავად-აზნაურთა მამულების ადგილობრივ მკვიდრთა ხელშივე შენარჩუნებას. ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ ასეთი მდგომარეობის ხანგრძლივობა იმ შემთხვევაშიც კი, რომ მოვესწროთ ჩვენი ბანკის წმინდა მოგებიდან ქართული გიმნაზიის უზრუნველყოფას. სადგილ-მამულო ბანკმა უპირველესათ ჩვენი ადგილმამულიანობა უნდა გააძლიეროს, და თუ წინაამდეგისაკენ მიგვიძღვება, სჯობს მთლათ დაიხუროს, ვიდრე განაგრძოს ერის განმანადგურებელი მოღვაწეობა.

გას თანი.

# ახალი ამბავი.

ჩვენმა რედაქციამ შემდეგი დეპეში გაგზავნა თფილისს:

„ერის" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მესამოცე წლების მოღვაწის, ანტონ ფურცელაძის გადაცვალების გამო. გადაეცით სამძიმარი ჭირისუფლებს".

✦ მელანია და გრიგოლ გველესიანებმა შემდეგი დეპეში გაგზავნეს „სახ. გაზეთში" ანტონ ფურცელაძის გადაცვალების გამო:

„ღრმათ ვწუხვართ თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწისა და მწერლის, ანტონ ფურცელაძის დაკარგვას, რომელმაც მთელი თავისი ძალღონე იმ მშობელი ქვეყნის ეროვნულ-კულტურულ აღორძინებას შესწირა, რომელიც ასე დარიბია ჭეშმარიტი მეგობრებითა და გულწრფელი მოამაგეებით. გადაეცით მიცვალებულის ჭირისუფლებს ჩვენი გულითადი სამძიმარი".

✦ დღეს მთავარანგელოზის ეკლესიაში „ერის" რედაქციის მოწოდებით გადახთილი იქნება წირვა და პანაშვიდი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის, ან. ფურცელაძის გადაცვალების გამო.

✦ ქუთაისის საისტორიო და ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ „სახალხო გაზეთს" ან. ფურცელაძის გადაცვალების გამო, შემდეგი დეპეში გაუგზავნა:

„დიდია მწუხარება მშობელი ქვეყნისა ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და ლიტერატორის, ან. ფურცელაძის გადაცვალების გამო. იგი ერთი იმ მცირე გუნდს ეკუთნოდა, რომელმაც გააშუქა დიდებული, ისტორიული პიროვნება გიორგი სააკაძისა".

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან ჩვენ მივიღეთ ქალაქის თვითმართველობის 1911 წლ. მოღვაწეობის ანგარიში, სადაც საავათმყოფოს ცნობებში ავათმყოფების განაწილება სწორათ არის შედგენილი. ამ განაწილებას სათაურათ წინაუძღვის სიტყვა—ეროვნულათ და შემდეგ მიყვება: რუსი ამდენი ქართველი საერთოდ ამდენი, და ამ რიცხვში იმერელი ამდენი, მეგრელი, სვანი და გურული. მაგრამ 1912 წლ. ანგარიშში ჩვენ მიერ აღნიშნული შეცდომა, მაინც შეცდომათ რჩება, კორექტურულია იგი, თუ სხვაგვარი.

✦ 13-ამ თვეს თფილისის სასამართლო პალატის სესია, სხვათაშორის, გაარჩევს მელიტონ გობეჩიას საქმეს.

✦ ქუთაისში რამდენიმე პირს განზრახვა აქვს შეადგინოს ვეგეტარიანული საზოგადოება, რომლის მიზანიც იქნება გავრცელება ვეგეტარიანული მოძღვრებისა. მსურველთ საზოგადოებაში ჩაწერისა, შეუძლიათ მიმართონ გაზ. „ერის" რედაქციაში გაზეთის რედაქტორს გ. ბრეგაძეს.

✦ 12 ნოემბერს თფილისში ბელეტრისტი დავით კლდიაშვილი ლიტერატურულ ვოკალურ საღამოს მართავს. პირველ ნაწილში ა. ჯანელიძე ნაციონალური შემოქმედების შესახებ ლექციას წაიკითხავს. წაიკითხვენ თავის ნაწერებს დ. კლდიაშვილი, ჯ. ჯორჯიკია და ი. გრიშაშვილი. მომღერალი აკოფაშვილი იმღერებს ქართულ რომანსებს ბოლოს გაიმართება წარმოდგენა. წარმოადგენენ „დარისპანის გასაჭირს".

✦ თბილისის ქალაქის მოურავმა წინადადება მისცა შავიქვის მრეწველთა საბჭოს, მიიღოს მონაწილეობა კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა მეორე კრებაში. საბჭომ წარმომადგენლებათ გადასწყვიტა გაგზავნოს კიტა აბაშიძე, ინჟინრები კ. ნ. საპიცკი და ი. პ. ბურჯანაძე.

✦ ბათომის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება სთხოვს შავიქვის მრეწველთა საბჭოს [illegible] ის შემწეობა, [illegible] რადგან [illegible] დამოს კურსები მოზრდილთათვის. ამასთანვე საზოგადოების გამგეობამ საბჭოს წარუდგინა 1913 წლის ანგარიში, საიდანაც ჩანს, რომ უნივერსიტეტში წაუკითხავთ ათი ლექცია შემდეგ თემებზე: 1) XIX საუკუნის ქართული ლიტერატურიდან (ილია ჭავჭავაძის შესახებ). 2) გიორგი სააკაძე და მისი დრო. 3) ეგნატე ნინოშვილი. 4) ილია ჭავჭავაძე. 5) ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება. 6) ჰლექის შესახებ. 7) თამარ მეფე და მისი დრო. 8) უმთავრესი მიმართულებანი თანამედროვე ლიტერატურაში. 9) კოოპერაციები და მათი ეკონომიური მნიშვნელობა. 10) წოდებანი საქართველოში რუსეთთან შეერთებამდი და შეერთებას შემდეგ.

ყველა ლექციას დასწრებია 2260 მსმენელი.

✦ ქუთაისში გაიხსნა საერობო ამბულატიური საერობო ბეითალთა სამკურნალო, სადაც ბეითლები ყოველდღე საქიმოთ მიიღებენ ავათმყოფ ცხოველებს, უფასოთ უწამლებენ დილის ათი საათიდან 1 ნახევარ საათამდი. სამკურნალო მოთავსებულია გორგიძის ს. ხაზინის გვერდით. გოშპიტლის შესახვევი.

✦ 24 ნოემბერს, ქუთაისის სადგილმამულო საზნაურო ბანკის შენობაში მოხდება რწმუნებულთა კრება. კრება შეეხება, სხვათაშორის, ბანკში მოსამსახურეთა შტატს და ჯამაგირების მომატებას.

✦ თფილისში, ამ დღეებში მოელიან საქართველოს ეგზირხოსს ალექსის. ამის გამო ამიერკავკასიის რკინის გზათა სამართველომ სადგურ სინელნიკოვოში რკინის გზის მატარებლის საგანგებო ვაგონი გაგზავნა.

✦ ქუთაისში, ფრინველთა და ყურდგელთა გამოფენას ხალხი ბლომათ ესწრება. გამოფენა კიდევ რამდენიმე დღეს გაგძელდება.

✦ თფილისში კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა საზეიმო კრება 17 ოკტომბერ', დილის 11 საათზე გაიხსნება. კრებაზე გარეშენიც იქნებიან მოწვეული. ჯერჯერობით კრების მონაწილეთ 120 კაცი ჩაეწერა.

---

აქ ცოტა ხანს შევჩერდები. ბ. „ნარიძე" ამბობს: სწავლის პრაგრამა და მეთოდი უნდა შეადგინოს ცენტრალურმა მთავრობამ, შკოლების დაარსებისათვის კი უნდა იზრუნოს ადგილობრივმა, უკეთ ვსთქვათ, ეროვნულმა ავტონომიამო. მაგრამ აქ შეურიგებელი შინაგანი წინააღმდეგობა სუფევს. ვინც ადგენს პროგრამას, იმან უნდა შეინახოს შკოლაც. თვარა, ეროვნულ ავტონომიას თუ არ მოეწონა ცენტრის მიერ შედგენილი პროგრამა და მეთოდი სწავლებისა, ცხადია, რომ სულაც არ დააარსებს შკოლებს. და ცენტრსა და ავტონომიას შორის მუდმივი დავა და ბრძოლა იქნება! მაგრამ დაწვრილებით შემდეგ შევეხებით ბ. „ნარიძის" მიერ შეთხზულს საკონსტიტუციო პროექტს. ახლა განვაგრძოთ გალიციის კონსტიტუციის განხილვა.

სეიმს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს სამოქალაქო უფლების, საბაჟო, სარკინის გზა და სხვა ამგვარი პოლიტიკის კანონმდებლობაში. ამიტომ პოლიტიკური ცხოვრების სიმძიმის ცენტრი გადატანილია ვენის პარლამენტში, ან რეიხსრატში. და დაახლოებით ამისთანა საოლქო ავტონომია არის ბ. „ნარიძის პოლიტიკური იდეალი!

20 მარტს 1848 წლ. რომ გალაციის კონსერვატორული წოდებრივი წარმომადგენლობა უნიას მოითხოვდა, ის უფრო დემოკრატიული იყო, ვიდრე ჩვენი „ესდეკების" სანატრელი იდეალი!

პოლონელი დემოკრატების გავლენით 1868 წლ. სექტემბერში სეიმმა მოითხოვა იგივე, რაც მინიჭებული აქვს უნგრეთს 1867 წლის შეთანხმებით. ამ პროექტის განხორციელებას ხელი შეუშალეს შერიგების მომხრეებმა, აგრეწოდებულმა „სტანჩიკებმა", რომელთა პოლიტიკური იდეალი დაახლოებით იგივეა, რაც ჩვენი „ესდეკებისა". და მხოლოდ ოთხმოცდაათე წლებში ილვიძებს კიდევ საკითხი გალიციის ავტონომიის გაფართოებისა.

1898 წელს პოლონურმა პრესამ აღძრა გალიციის დამოუკიდებელი ავტონომიის საკითხი, რომელიც შეიცავს სტუდნიცკის მიერ შედგენილს შემდეგ მოთხოვნილებათ. ახლანდელი მოადგილისა და საოლქო გამგეობის მაგიერათ გალიციის ადმინისტრაციის სათავეში უნდა იდგეს საოლქო მართველობა, რომელიც პასუხისმგებელი უნდა იყოს სეიმის წინაშე. სეიმს უნდა ქონდეს საკანონმდებლო უფლება ყველა საკითხში, რომელიც შეეხება მხოლოდ გალიციას. პირდაპირი გადასახადების დაწესებაში გალიცია სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს. სეიმი სწყვეტს, რამდენი უნდა დაიხარჯოს და რაზე გალიციაში, რამონაწილეობა უნდა მიიღოს სეიმმა საერთო საიმპერიო ხარჯებში, ამის განსაზღვრა იქნება დამოკიდებული ხანგამოშვებითი შეთანხმებისაგან. სახელმწიფო ქონება გალიციისა უნდა გადავიდეს გალიციის ავტონომიის უწყებაში.

საიმპერიო, საერთო საკითხებს კი შეადგენს: 1) საგარეო პოლიტიკა და ტრაქტატები, 2) სამხედრო საქმეები, 3) საბაჟო პოლიტიკა, რომელიც შეეხება საერთოსა და კერძოთ გალიციის სამრეწველოსა და სავაჭრო ინტერესებს, 3) ფულის მოჭრა და 4) რკინის გზები, რომელსაც აქვს საერთო მნიშვნელობა.

ეს პროგრამა მოიწონა პოლონეთის ხალხოსნურმა პარტიამ („ნაროდოვაია პარტია"), ანუ ნაციონალდემოკრატიამ. და, თუმცა წინათ სოციალდემოკრატები უარყოფდენ, მაგრამ ახლა ისინიც აღიარებდენ.

შევჩერდეთ აქ ცოტა ხანს. შპრინგერი წინააღმდეგია აგრეწოდებული „საკორონო მიწების" ე. ი. ისტორიული „სამეფოების" სრული ავტონომიისა. ის დამღუპველათ სთვლის ავსტრიისთვის პროვინციათა ასეთ განცალკევებას. მას სურს სრულიად გაუქმდეს ამგვარი ავტონომიები და მათ ნანგრევებზე აღმოცენდეს ნახევრათ ავტონომიური პატარა ოლქები და (მის აგრეწოდებულ ავტონომიას შევეხები შემდეგ).

მაგრამ ეს შეუძლებელია, უტოპია არის. ჩეხნი შეიძლება შეურიგდენ ბოჰემიისა და მორავიის განაწილებას მათსა და გერმანელთ შორის, მაგრამ თავისი ცოცხალი თავით არაოდეს არ შეელევიან ჩეხიის ავტონომიას, ერთსა და იმავე დროს ეროვნულსა და ტერიტორიალურს.

იგივე უნდა ვსთქვათ პოლონელებზეც. მათთვის არათუ წარმოუდგენელია, რომ ავტონომია არ ქონდეს გალიციის პოლონურ ნაწილს. არამედ ისიც კი, რომ ორათ გაიყოს გალიცია, რუსინები ჩამოშორდენ და განცალკევდენ და დაიარსონ საკუთარი ავტონომია. ასეთი ძლიერი კვალი დასტოვა მათს ფსიხიკაში 600 წლის ერთად ცხოვრებამ რუსინებთან, ანუ უკრაინელებთან. მაგრამ დამოკიდებულებას რუსინთა და პოლონელთა შორის ქვევით შევეხები, და აქ ისევ დავუბრუნდები ავტონომიის საკითხს.

გავიმეორებ, შპრინგერის იდეალი ავტონომიურ პროვინციათა გაუქმებისა ყოვლად შეუძლებელია, არაოდეს არ განხორციელდება. შესაძლებელია მხოლოდ შესწორება ამ ავტონომიათა საზღვრებისა და დაარსება კიდევ ახალ ავტონომიათა.

როგორც ხედავს მკითხველი, პირიქით, ავსტრიის ერებს იზიდავს სულ სხვაგვარი მიმართულება, ვიდრე ის, რომელსაც აღიარებს შპრინგერი. ჩეხები, პოლონელნი, ხორვატები და სხ. კიდევ მეტ უფლებას მოითხოვენ ავტონომიათათვის, ვიდრე დღეს აქვთ. მაშასადამე, ავსტრიის ერთა უმეტესობა დეცენტრალისტური იდეალით არის გატაცებული.

და ეს ფაქტი აქარწყლებს სხვათა შორის ბ. „ნარიძის" აზრს, ვითომ პოლიტიკური ცენტრალიზაციისკენ მიიწევდეს მთელი მსოფლიო. მსოფლიოს სახელით კი მარტო შვეიცარიასა და გერმანიას იმოწმებს და გვეუბნება, ცენტრალისტური ტენდენცია იმარჯვებს ამ ქვეყნებშიო.

მაგრამ, ჯერ ერთი, ჩრდილოამერიკის შეერთებულ შტატებში, აგრეთვე ავსტრალიის შეერთებულ შტატებში, სამოქალაქო და სამოსამართლო კანონმდებლობის უმთავრესი ნაწილი თითოეული შტატის ხელშია და დეცენტრალიზაციის პრინციპი იქ მტკიცეთ არის დაცული. და იქაური წესწყობილება რომ სჯობს ამ მხრით შვეიცარიისასა და მეტადრე მილიტარისტული გერმანიისას, უეჭველია.

მეორე, ყველაფერი ის, რაც ხდება ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, არ უნდა აღვიაროთ სანატრელ იდეალათ. ევროპაში და, ასე გამინჯეთ, თვით ამერიკაშიც მილიტარისტული ტენდეიცია თანდათან ძლიერდება, მაგრამ განა ამიტომ სიკეთედ უნდა ჩავთვალოთ ეს მოვლენა?!

პოლიტიკური ცენტრალიზაციის გაძლიერება ნიშნავს თავისუფალი ინიციატივის შევიწროებასა და ბიუროკრატიულისა და სამხედრო მუხრუჭის გაძლიერებას. და განა წრფელი. ჭეშმარიტი დემოკრატი უნდა თანაუგრძნობდეს ამ მიმართულებას?!.

და, მესამე, შვეიცარიის ნაწილებს შორის მეტია ერთსულობა და თანხმობა, ვიდრე ავსტრიის ერებს შორის, და ყველაფერი ის, რაც ხდება შვეიცარიაში, ცხადია, არ შეეფერება ავსტრიას.

მაშასადამე, ცენტრალისტური პრინციპი შპრინგერისა და მისი მოსწავლეებისა უაფყოფილი უნდა იქნას.

ახლა შევეხოთ იმ საკითხს, შეიძლება თუ არა შეთანხმება ერთა შორის ბურჟუაზიულ წესწყობილებაში?

პირველი ცდა ამგვარი შერიგებისა პოლონელთა და რუსინთა შორის მოხდა 1869 წ., შემდეგ ამგვარივე ცდა გაგამეორდა 1879—82 წ. და ბოლოს 1890 წ. ამ ხნის განმავლობაში უკრაინელებმა შეიძინეს გიმნაზიები თავის ენაზე, გააფართოვეს თავისი ენის უფლება სასამართლოში და ადმინისტრაციაში. შეიძინეს რამდენიმე კათედრა უკრაინულ ენაზე ლვოვის უნივერსტეტში, დააარსეს მრავალი დაბალი შკოლა, სადაც სწავლა დედაენაზე სწარმოობს, და სხ. ამას გარდა არავინ არ ავიწროებს არც მათს თავისუფალ კულტურულსა და განმანათლებელ ამხანაგობათა და ლიტერატურას. ამიტომ თანამედროვე უკრაინული ეროვნული მოძრაობა დაიბადა გალიციაში, სადაც მხოლოდ 3 მილიონი ცხოვრობს, და არა რუსეთის უკრაინაში, სადაც უკრაინელთა („მალოროსთა") რიცხვი ოც მილიონს აღემატება!

მართალია, პოლონელი ნაციონალდემოკრატები აჭარბებენ, რომ უარყოფენ სრულს ეროვნულ თანასწორობას. ისიც მართალია, რომ მათმა ამგვარმა ვიწრო—ეროვნულმა მიმართულებამ დაბადა რუსინთა შოვინისტები—„გაიდამაკები," რომელნიც მტრულათ უყურებენ პოლონელებს.

მაგრამ, რა კი პოლონელებმა ერთხელვე დაუთმეს, აღარ შეუძლიათ შეაჩერონ რუსინთა ეროვნული მოძრაობა. და ყველა გრძნობს, ამ ორი ერის შერიგების აუცილებლობას.

და თუმცა დღეს იქ ბურჟუაზიული წესწყობილებაა, მაგრამ ხსენებული საკითხი უკვე მომწიფდა და, უეჭველია, მოვესწრებით მისი გადაჭრის დროსაც.

ბ. „ნარიძის" აზრი (?) კი, ეროვნული საკითხის გადაწყვეტა არ შეუძლია ბურჟუაზიულ საზოგადოებასო, ჯერ—ერთი, უარყოფს ისტორიულ ფაქტებს: ბელგიის მიერ თავისუფლები მოპოებას, იტალიის გათავისუფლებას, შვეიცარიას მაგალითს, თვით გერმანიის გაერთიანებას, ავსტრიის დანაწილებას ეროვნულ ავტონომიებათ, ირლანდიის ავტონომიური იდეალის განხორციელების მოახლოებას, საბერძნეთისა და ბალკანეთის სხვა ერების გათავისუფლებას ოსმალებისაგან, და სხ. და, მეორე, „ნარიძე" რომ ვითომ რუსინთა მდგომარეობასა სტირის, ვურა გრძნობს, სამწუხაროთ, რომ თვითონმეტიო აქვს სატირალი. (ეს ფაქტები ამოვიღე უმთავრესათ „ვასილევსკის" (პლოხოცკის) წერილიდან კრებულში: „ფორმები ეროვნული მოძრაობისა" და ზოგი რამე „გარტუნგ ჰფლუნგის" „მსოფლიოს ისტორიიდან"

**ნესტარი**

(შემდეგი ქნება.)

საპაჭრო სახლი
**ი. გოკიელის** შვ— ზის
ქუთაისში.

ერთათ ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის

**ხ. ხრისტოდულიდის** (რომელ-საც წინათ ეძახდენ წერეთლის)

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშობისთვემდე 5/Ⴤ შეუკვეთავს თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელშიც 200 კოლოფიი ექვს მისხლიანი. **მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ.** [illegible] ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის სავაჭროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია **ლევანტი ქქთამეს მე ნუცუბიძე**, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.

**ფ. ს. ფილიპოვისა.** ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელიუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.

## აქ-იქაური.

ლიხ-გადაღმელნი ქუთაისს, ჩვენი ქვეყნის უფროს ქალაქებთან შედარებით, უფრო ქართულ ქალაქად სთვლიან. აქ ჭარბობს ქართველობა, ქართული სული უფრო ტრიალობსო და სხვ.

მართალია.

ხოლო ეს ,,მართალია'', რომ ხშირად მართლა დაგვაღონებს, როცა მისი გასამართლებელი საბუთი გვისუსტებს.

და რისი ,,ქართული ქალაქია'' და ან რა ქართული სული ტრიალობს, თუ—მაგალითად—ქართული წარმოდგენებიალარ გვექნება.

ვიძახით—,,ქართულობა'' და ქართული სული, თუ კი სადმე ტრიალობს დღეს—ეს უპირველესათ ქართულ წარმოდგენებზეო.

ისიც მართალია, რომ ამ ,,ქართულობას'' ხშირად ვერ ვხედავთ ქართული სცენაზე, მეტ ნაწილათ ქართული სულიც არ ტრიალობს ამ ქართულ სცენაზე.... მაგრამ ენა, ასეა თუ ისე, ქართული მესმის ,,დაუბრკოლებლათ ამ სცენიდან და ბევრ დაბრკოლებასთან, ეს დაუბრკოლებლობაც დიდ საქმეთ უნდა ჩაითვალოს.

მერე?!

მერე ის, რომ ქუთაისის დრამატიული საზოგადოება, რომელიც პირობით შეეკრა თფილისელ დიდსა და კარგს ქართულ დასს, დღეს იძულებულია ეს პირობა დაარღვიოს...

ქართულ ქალაქში, საცა ქართველობა სჭარბობს, ეს ქართველობა ქართულ წარმოდგენას გაურბის, არ დაიარება, დიდი დასის მოწვევა დიდ ხარჯს მოითხოვს, დრამატიულ საზოგადოებას საფანელი შემოაკლდა და მოხდა გაყრა..

და ისიც მართალია—რას გახდება მარტო ქართული სული, თუ ფულიც თან არ მოსდევს ამ შემთხვევისთვის, იქნება, სული ძალიანაც ტრიალობს, მაგრამ თუ ჯიბეში ფულიც არ ჩხრიალობს, რას გახდები?!

ღარიბი ვართ, თეატრი ძვირია და ერთხელ კიდევ გამოვსთქვამთ სურვილს:

ქუთაისს უნდა დიდი თეატრი. იაფ-ფასიანი ადგილებით, შეძლების კვალობაზე ხელმისაწდომი ხალხის დემოკრატიული ნაწილისთვის, რომელიც თავის მცირე წვლილით, წვეთისგან ზღვას შექმნის.

მხოლოდ ეს თუ შეაუღლებს კვლავ ჩვენს უსახსრო დრამატიულ საზოგადოებათ კარგს დასთან. უამისოთ გაყრა მუდამ მოსალოდნელი იქნება.... დ.

## დეპეშა.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**პეტერბურგი.** ოფიციალური ცნობით უკანასკნელი ერთი დღის განმავლობაში ქარხნების, სახელოსნოებისა და სტამბების 83,534 მუშა გაფიცულა. ამათში წესიერების დარღვევისათვის პოლიციამ 13 მუშა დააპატიმრა.

პრესის საქმეთა კომიტეტმა ,,დენის“ 302 ნომერს ჯარიმა დაადვა.

გუშინ დაწყებული მუშათა მასიური გაფიცვა დღეს დასრულდა. ზოგიერთ ქარხანაში გაფიცვა კვლავ გძელდება. გაფიცვას წმინდა ეკონომიური ხასიათი აქვს.

**უცხოეთი.**

**ვენა.** უნგრეთის საგარეო საქმეთა კომისიას ბერხტჰოლდმა შემდეგი განუცხადა:—ჩვენ მოწამენი ვიყავით იმისა, რომ მამადიანთა სახელმწიფომ ქრისტიანთა თავისუფლებისათვის ბრძოლის შეჩერება ვერ შეძლოს. ამ დროს ჩვენი მონარქიის საგარეო პოლიტიკის მიმართულება ცხადი შეიქნა. მას არ უნდოდა ოსმალეთთან ძველი მეგობრული კავშირი გაეწყვიტა. მონარქიას არც იმის სურვილი ქონდა, რომ ბალკანეთის საკითხის გადაწყვეტაში ვისმესთვის ხელი შეეშალა. ავსტრიამ ბალკანეთში უკვე შეიძინა ბოსნია-ჰერცოგოვინა. ავსტრია ამ ტერიტორიის შეძენას შემდეგ ბალკანეთში ტერიტორიის გაფართოვებას არ ფიქრობდა. ჩვენ შევინახეთ მეგობრული დამოკიდებულება გამარჯვებულ სახელმწიფოებთან. არ გვინდოდა ხელი შეგვეშალა მათთვის სამხედრო აპერაციების საქმეში, ჩვენ ვიტოვებდით უფლებას, რომ მოკავშირენი ჩვენს კანონიერ მოთხოვნილებას პატივისცემით მოპყრობოდენ. მიუხედავათ ამისა ჩვენს მიმართ არა მეგობრული დამოკიდებულება გამოიჩინეს, არა მარტო ბალკანეთში, არამედ სხვაგანაც. შემდეგ ბერხტჰოლდი დიდ სახელმწიფოთა უთანხმოებას შეეხო.

**ლონდონი.** ტრედ-უნიონისტების საპარლამენტო ფრაქციამ არ მოიწონა დუბლინის მუშების თანაგრძნობის ნიშნათ გაფიცვის გამოცხადების განზრახვა.

**ნიუიორკი.** პრეზიდენტმა გადასწყვიტა სენატს დასამტკიცებლათ წარუდგინოს რუსეთის ელჩათ დასანიშნი პირი.

**ვენა.** 1910—11 წლეებში ბევარა მოხდილი ჯარისკაცებ, რომლებიც წელს ისევ მოიწვიეს, ახლა გაათავისუფლეს. 1912 წელს ბევარამოხდილებს შეპირდენ დეკემბერში გაგათავისუფლებთო.

**ბერლინი.** პოლიტიკური წრეები დიდ მნიშვნელობას აძლევენ იმ გარემოებას, რომ კოკოვცოვი იმპერატორმა თავაზიანათ მიიღო.

**ლონდონი.** საფოშტო დაწესებულებათა უფროსმა ფოშტის მოხელეთა დეპუტაცია მიიღო და განუცხადა, რომ მათი მოთხოვნილება ჯამაგირზე 15 პროცენტის მომატების შესახებ არ იქნება დაკმაყოფილებულიო. დეპუტაციას შეპირდა:—ვეცდებით თქვენი ჯამაგირი გავადიდოთო.

**სერატი.** სადღესასწაულო სადილზე რუმინიის მეფემ რუს აფიცრებს უთხრა:—მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ვხედავ ჩემს ქვეყანაში რუს აფიცრებს. მათი შეხვდა მაგონებს ჩვენს შეერთებულ მოქმედებას პლევნასთანო.

## ოზურგეთის ამბები.

(პასუხათ ბატ. „ბერტოს“).

გაზ. „მერცხლის“ 78-ე №-ში ვინმე „ბერტოს“ წერილია ოზურგეთიდან, რომელშიც ცთილობს დაამტკიცოს, ვითომ ჩემ მიერ „იმერეთის“ 177-ე №-ში მოთავსებული კორესპონდენცია დეპ. გელოვანის ოზურგეთში ჩამოსვლის შესახებ სიმართლეს მოკლებული იყოს.

წერილის დასაწყისშივე ეტყობა, რომ ძლიერ გულდაწყვეტილია ბატ. „ბერტო“ იმ მოვლენით, რომ აქამდი „მათი“ გაზეთის კორესპონდენტი ძლივს მოიპოვებოდა... ვითომ ქონდა კი ამ მოვლენას ადგილი ოზურგეთში? არა მჯერა! სხვა თუ არა, თვითონ ხომ აქა ბძანდება და მაშ რაღას წუწუნობს საბრალო დედაბერივით, „რომ „ჩვენი“ გაზეთის კორესპონდენტი ძლივს მოიპოებოდაო; დავამშვიდებ, არავინ შეეცილება „მათი“ გაზეთის კორესპონდენტობას. მაგრამ ძაღლის თავი სულ სხვაგან მარხია: ვერ მოუნელებია, რომ ,,ბედმა გაუღიმა“ და ,,იმერეთისტიც“ მოევლინა, როგორც თვითონვე ბძანებს, აი რა აწუხებს ბატ. ,,ბერტოს'' და რას ვერ შერიგებია, მაგრამ მეტი რაღა დარჩენია, რომ არ შეურიგდეს მისთვის არა სასიამოვნო მოვლენას.

ბატ. ,,ბერტო'' თავის წერილში ბძანებს: „იმერეთის'' მუდმივ ხასიათს ისიც (ე. ი. ,,ლელო'') არ ღალატობს და თავის დეპუტატის პრესტიჟის აღსადგენათ ყალბ ცნობებს გვაწვდისო“.

გავბედავ და მოვახსენებ ბატ. ,,ბერტოს'', რომ დეპ. გელოვანი არ საჭიროებს პრესტიჟის აღდგენას, რადგან თვით ,,მერცხლის'' თავისებურმა ჰიკჰიკმაც ვერ დასცა მისი პრესტიჟი, თუმცა ბევრს ეცადენ და, ,,ბერტო'' ხომ ჯერ ბუდიდან გადმოუფრენელი ,,ბარტყია'', და აბა მისი ,,ჭიკჭიკი'' რაღას დააკლებს დეპ. გელოვანს?

მისდა სამწუხაროთ არც ყნოსვა ვარგებია ბატ. ,,ბერტოს'', მხედველობასაც მოკლებული ყოფილა და ვერც მის ,,შიკრიკებს'' უღევნებიათ თვალყური, როგორც რიგი და წესია, თორემ შეამჩნევდენ, რომ გარდა მის მიერ ჩამოთვლილი პირებისა, კიდევ სხვებმაც ინახულეს დეპუტატი და ესაუბრენ კიდეც და არც. ბ. ვ. ხუნდაძისას, როგორც ბატ. ,,ბერტო'' ბძანებს, და ბოდიში მასთან, რომ უქვეშევრდომილესი თხოვნით არ ვეახელით, ნებართვა არა ვსთხოვეთ და უბის წიგნში არ ჩავაწერიეთ ყველას გვარი და სახელი, ვინც დეპუტატის სანახავათ მივდიოდით.

ძლიერ აჩქარებულა ბატ. ,,ბერტო'' და რიხიანათ გაიძახის:—გელოვანისთვის არვის მიუმართავს ისეთს, რომელთა უფლებასაც შეადგენს ხაზინის გახსნის შესახებ შუამდგომლობის აღძრაო''. გაისარჯოს და იკითხოს ქალაქის თვითმართველობაში და დარწმუნდება, რომ ,,ყოვლის მცოდნე'' არა ბრძანებულა ბატ. ,,ბერტო'', და მკაცრი სახელი რომ არ ვუწოდოთ მის მტკიცებას, ვითომ ბ. გელოვანისთვის არ მიემართოსთ, დედაბრის ჭორი მაინც იქნება.

ვსთხოვ ბატ. ,,ბერტოს''ამ თავათ აპატიოს მუსულმანებს მათი ,,შემცთარი ნაბიჯი'', შემდეგისათვის კი ჩავაგონებთ, რომ უსათუოთ მასთან (ბატ. ,,ბერტოსთან'') მივიდენ დეპუტატის ,,მისართმევი'' თხოვნის დასაწერათ და, თუ შესაძლებელი იქნა, დასამტკიცებლათ თანაც წაიყოლიონ და საუბრის დროს დაისწრონ, რომ მართლა იყვენ დეპუტატთან და იქნება მაშინ აღარ დაიწყოს ,,კაპრიზნობა'', რომ მუსულმანებს არ მიუმართავთ გელოვანისთვის შუამდგომლობითო.

შეიძლება ბატ. ,,ბერტო'' თვითონ იყოს დაჩვეული ქუჩაში ,,სიარულის'' დროსა და სადილ-ვახშამზე ,,საქმეების'' გამოჭახრაკებასა და გამორიგებას და სხვაც ასე გონია, რას იზამ: ,,მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო'', ნათქვამია.

დასასრულ ერთ რჩევას მავსცემ ბატ. ,,ბერტოს'': ნურც წამლებს ხარჯავს და ნურც ტილოს, რომ გელოვანის ,,ტრუდოვიკობის'' დასამტკიცებელი სურათი დახატოს, უიმსურათოთაც იცნობენ დეპუტატ გელოვანს, თვარა შეიძლება მკითხველმა და ბევრმა სხვამაც იმ დახატულ სურათში ისევე ბატ. ,,ბერტო'' იცნოს, და მაშინ ხომ საჭირო შეიქნა სურათ ქვეშ მიწერა: „сей есть лев, а не собака“. **ლელო.**

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

ვ...ც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

**პ ა რ ო ს ი** { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**
თფილისში.

**კ ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში**

(ქუთაისში.)

იყიდება შემდეგი თხზულებანი

| | | |
|---|---|---|
| ანტონ ფურცელაძისა: | 1. გ. საავაძე და მისი დრო (სურათ.) | ფ. 1 მან. |
| მისივე | 2. თამარ დაზნელი | — 10 შ. |
| ,, | 3. მაცი ხვიტია (ისტორ. რომ. სამეგ. ცხოვრ. | — 10 შ. |
| ,, | 4. ასული ისრაელისა (ხუთ მოქმედ. ტრაგ.) | — 6 შ. |
| ,, | 5. ქიტესა (მოთხრობა) | — 3 შ. |
| ,, | 6. წყალობა (ზოემა) | — 2 შ. |
| ,, | 7. კაცობრიობა და ხალხოსნობა | — 1 აბზი |
| ,, | 8. მამულის საერთო მფლობელობა | — 2 შ. |
| ,, | 9. ფული და მათი მნიშვნელობა | — 2 შ. |
| ,, | 10, ჩვენებური საქმის ბოლო | — 6 შ. |

**გამოცდილი მასწავლებელი,**
ნაფიცი ვექილის თანაშემწე

ამზადებს და ამეორებიებს საშვალო სასწავლებლის მოწაფეებს (და ყველა მსურველსაც) ქართულსა და რუსულ ენებს, ლიტერატურასა და ისტორიას.

**აქვე შეიძლება მიღება რჩევა-დარიგებისა სამოსამართლო საქმეების შესახებ.**

მოსწავლენი მიიღებიან ნაშუადღევის 5—6 საათამდი, კლიენტები-კი—საღამოს 6—7 საათამდი. კათოლიკეს ქუჩა სახლი ხოჯევანოვისა, ბინა ი. თ. ცინცაძისა.

**გ. გორდაძისა და ს. წერეთლის**

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“

**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**

საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

**მევენახეთა საყურადღებოთ!**

1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო. ამერიკული ვაზის სანერგე „**კლდე ყდურული**“ ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტ, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოს—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო''-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და მელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე მმ. გოკიელის სახლში **პ. ტიეგო.**

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვისი ქუთაისში.